სახელოვნებათმცოდნეო დასკვნა, ქ.თბილისი, პურის მოედანი №1 და 2-ში
განთავსებულ შენობებზე განსახორციელებელ სამუშაოების შესახებ

ქ. თბილისი

2017წ

ობიექტი, რომელიც ჩვენი კვლევის საგანს წარმოადგენს, მდებარეობს ქ. თბილისის ისტორიულ უბანში, კალაში, კერძოდ კი პურის მოედანზე. აღნიშნული ტერიტორია ისტორიული თბილისის ერთ-ერთი ყველაზე ისტორიული მეხსიერებითა და სენსიტიურობით დატვირთული ადგილია, რომელიც ქალაქის, როგორც ურბანული მორფოლოგიის ჩამოყალიბების თანმდევია. თავად მოედნისა და მიმდებარე განაშენიანების ჩამოყალიბების შესახებ აღნიშნულ კვლევაში არ შევჩერდებით, რადგან 2008 წელს ხელოვნებათ მცოდნეების მარინა ხატიაშვილისა და დავით ხოშტარიას მიერ ჩატარებულია ტერიტორიის ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური კვლევა, სადაც დეტალურად არის მოთხრობილი საპროექტო შენობებისა და მიმდებარე განაშენიანების ისტორიულ-სტილისტური ანალიზი (იხ. აღნიშნული კვლევა დანართის სახით), მისი ჩამოყალიბებისა და განვითარების ისტორია. ცხადია წინამდებარე ნაშრომში აღნიშნულ ფაქტზე არ გავამახვილებთ ყურადღებას, ჩვენი მიზანია შენობის დღევანდელი მდგომარეობის შეფასება და გარკვეული ფაქტების დაზუსტება მის ცვლილებებთან დაკავშირებით.

ბოლო დროინდელი მოვლენების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

კონკრეტულ მიკროკვარტალზე, ისევე როგორც ზოგადად კალა უბანში არსებულ შენობათა ფიზიკური მდგომარეობა, ცუდი, მეტიც შესაძლებელია ითქვას - საგანგაშოა. ერთის მხრივ ხანდაზმულობამ, ამავდროულად მოუვლელობამ და უყურადღებობამ არაერთი მნიშვნელოვანი ნაგებობა შეიწირა. გადარჩენილ შენობათა უმრავლესობა მძიმე ფიზიკურ მდგომარეობაშია და სასწრაფო დახმარებას მოითხოვს. შენობათა კონსტრუქციული მდგომარეობა განსაკუთრებით დაამძიმა 2002 წლის მიწისძვრამ, რომლის შემდეგაც აგერ უკვე 15 წელია მათი მდგომარეობა დღითიდღე უარესდება.

ჩვენ საკვლევ შენობათა ბედიცა და ისტორიაც სწორედ ასეთია. მათი აგების თარიღი მე 19 ს-ის I და II ნახევარია. საუკუნეზე მეტხანს შენობები ავათ თუ კარგად იდგნენ. თუმცა წლების განმავლობაში გაუმართავმა კომუნიკაციებმა, მათი კონსტრუქციული მდგომარეობა იმდენად დაასუსტა, რომ 2002 წლის მიძისძვრის შემდეგ, სულ რამოდენიმე წელიწადში თავად დაინგრა. საბედნიეროდ

- ✓ შენობის მასშტაბი და პროპორცია:

  ნაგებობა თავისი მორგებული მასშტაბით გარკვეულწილად აყალიბებდა არამხოლოდ მოედნის, არამედ გვერდით არსებულ მცირე ჩიხის ურბანულ თუ არქიტექტურულ სტრუქტურას. მისი პროპორცია ზუსტად ისე იყო გათვლილი, რომ ხაზგასმულიყო მისი ერთ-ერთი ძირითადი მხატვრული მახვილის მნიშვნელოვანება. შენობა მოედნის ერთ-ერთ დომინანტს წარმოადგენდა;

- ✓ შენობის სტრუქტურა:

  ნაგებობა მცირე ზომის შიდა ეზოს შეიცავდა, რომელიც ღია ხის ჭვირულ-მოხატარებული აივნებით იხსნებოდა. ეზო, როგორც მნიშვნელოვანი სტრუქტურული ელემენტი თბილისური არქიტექტურისა, ჩვენს საკვლევ შენობასაც მართალია მცირე ზომის, მაგრამ მაინც ჰქონდა;

- ✓ საფასადო კომპოზიცია:

  საფასადო კომპოზიცია სტილისტურად კლასიცისტური ელემენტების მატარებელია, რომლის ძირითად აქცენტსაც ხის შეკიდული საკმაოდ მოცულობითი აივანი განაპირობებდა. თავისი შესრულების ხარისხით, აივანი ხითხურობის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუშს ქმნიდა;

- ✓ სამშენებლო მასალა:

  შენობა აგებული იყო ძველი ქართული აგურით, დაფარული ნალესობით.

პურის მოედანი №2-ში მდებარე ნაგებობა, მომიჯნავე შენობასთან შედარებით ბევრად დიდია და ის ორი არსებითად დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგება. მარჯვენა ნაწილი 1840-50-იან წლებს განეკუთვნება, ხოლო მეორე, ასათიანის ქუჩის მხარეს ამავე პერიოდს, რომლის გადაკეთებული ვარიანტიც საბოლოო სახით XIX ს-ის ბოლოს დასრულდა. სამშენებლო მასალად ძველი და ე.წ. რუსული აგურის გამოყენება, მის არაერთ გადაკეთებაზე მოწმობდა.

როგორც ჩანს აღნიშნული ნაგებობა მასალით, ფერითა და ფაქტურით განსხვავებულ სტრუქტურულ ფლანგებს წარმოადგენდა, რომელიც ასევე განსხვავებული პროპორციითა და სიმაღლით გამოირჩეოდა. შწორედ ეს ქმნიდა ამ შენობის მრავალფეროვნებასა და გამომსახველობას.

- ✓ განსხვავებული სიმაღლე და სილუეტი;
- ✓ განსხვავებული ფაქტურა და სამშენებლო მასალა.

დასკვნა და რეკომენდაციები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობებს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდათ მოედნისა თუ ზოგადად მიკროკვარტალის მხატვრულ-არქიტექტურული სურათის განსზღვრის თვალსაზრისით. გარდა ამისა, შენობები თავისი მახასიათებლების გამო, კულტურის უძრავ ძეგლთა სიაში იყვნენ აღნუსხულები, რაც კანონით განსაზღვრულ დაცვის მექანიზმს გულისხმობს. 1970-იან წლებში, ძეგლთა ინსპექციის სამართველოს მიერ, გაკეთდა შენობათა ანაზომები, 2006-2007 წლებში ქ. თბილისის ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმის ფარგლებში შედგენილი იქნა ძეგლის საალრიცხვო დოკუმენტაცია. 2008 წელს, შენობათა მეპატრონის დაკვეთით მომზადდა ძეგლზე ანაზომები, რომელიც საფუძვლად დაედო პურის მოედანი №1 და №2-ში არსებულ შენობათა რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტს (2011 წ).

თუმცა აღნიშნული პროექტის შესაბამისი უწყებიდან სანებართვო დოკუმენტის მიღებამდე ერთ-ერთი ძლიერი წვიმის შემდეგ, საპროექტო შენობები დაინგრა. ნგრევის დროს ფაქტიურად მთლიანად დაიკარგა მისი მცირე მხატვრული დეტალები თუ ელემენტები.

არსებული პროექტი შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციას ითვალისწინებდა, თუმცა შედეგად მივიღეთ მოედნის მარცხენა ფრთის ერთიანი მონოლითური მოცულობა, რომელიც ზემოთ ჩამოთვლილ ძეგლთა მახასიათებელ-პარამეტრებს მხოლოდ მცირედითაც კი არ ითვალისწინებს, არამედ მხოლოდ ჩამოჰგავს. კერძოდ კი: ორივე შენობა

შესაძლებლად მიგვაჩნია მისი განხორციელება. შესაბამისად გასათვალისწინებელია შემდეგი სახის რეკომენდაციები:

- ✓ სასტუმროს ერთ-ერთ დადებით მხარედ უნდა განისაზღვროს მისი არაჩვეულებრივი ხედები, რომელიც ტერასიდან მოსჩანს. შესაბამისად ტერასისი მოწყობა აუცილებელიც კი არის. სასურველია შენარჩუნებული იქნას განაშენიანების სხვადასხვა სილუეტი და სიმაღლე. ამ მიზნით ტერასა მოეწყოს მომიჯნავედ არსებული სახურავის ქვემოთ და არა მის გასწვრივ. ტერასის გადახურვის კონფიგურაციისას მეტნაკლებად გათვალისწინებული იქნას ძველი შენობის სახურავის ქანობის ფორმა. ასევე შესაძლებელია მსჯელობა ტერასის "შეფუთვაზე" და მის მხატვრულ სახეზე. შესაძლებელია მსჯელობა როგორც მინის, კონსტრუქციაზე, ასევე ხის შუშაბანდის სტილის ტერასაზე. ნებისმიერ შემთხვევაში ეს უნდა იყოს მსუბუქი, დროებითი კონსტრუქცია და არამც და არამც მძიმე დანართის სახის;
- ✓ ატრიუმის განთავსების აუცილებლობა სასტუმროს შიდა გეგმარების სპეციფიკამ მოითხოვა. დღეს მდგომარეობით ატრიუმი კარკასის ფორმით ასრულებს შენობას. აუცილებელია მისი ფორმა და ფაქტურა ფასადზე, იყოს მეტაკლებად ადაპტირებული უკვე ჩამოყალიბებულ მხატვრულ-არქიტექტურულ სურათთან. კერძოდ შესაძლებელია დასამუშავებელი იქნას როგორც ხის ფაქტურა, ასევე ლითონის მსუბუქი კონსტრუქციის არსებობა;
- ✓ როგორც უკვე ავღნიშნეთ, შენობის რეკონსტრუქცია-ადაპტაციის პროექტის განცხორციელებისას, აბსოლუტურად შეცვლილია შენობათა ავთენტური შიდა გეგმარებითი სტრუქტურა. თუმცა ფიზიკური სამუშაოების დროს, გამოიკვეთა მცირე სახის შიდა გეგმარებითი ცვლილება, რომელიც ცხადია არ ცვლის ძირითად სურათს. ასეთივე პროექტის უმნიშვნელო სახის კორექტირებაა ფასადზე არსებულ მცირე დეტალებზე, რაც ვფიქრობთ ზოგადად პროექტის განხორციელების ფონზე უმნიშვნელოა და შესაბამისად შესაძლებელია;

აღნიშნულ ნგრევას მსხვერპლი არ მოჰყოლია, თუმცა შენობათა ავთენტური მხატვრულ-არქიტექტურული კვალი საბოლოოდ განადგურდა.

შენობათა როლი მოედნის სტრუქტურულ-გეგმარებით მხატვრულ სურათში

2008 წლის კვლევაში, ხელოვნებათმცოდნეები სრულიად სამართლიანად აღნიშნავენ, საკვლევ შენობათა უმნიშვნელოვანეს როლს მოედნის სტრუქტურულ თუ მხატვრულ ჩამოყალიბებაში. მოედნის მარცხენა (საკვლევ შენობათა) ფლანგის მრავალფეროვნება, სწორედ არსებული განაშენიანების დინამიკასა თუ ეკლექტურ, სტილისტურ მრავალსახოვანებაში გამოიხატებოდა. სხვადასხვა ფორმისა და სტილის სიბრტყეები, ერთმანეთს ისე ეთანხმებოდა რომ ფაქტიურად ასახავდა თბილისური არქიტექტურის მე-19 საუკუნის განვითარების ხაზს. მათ შორის ხითხურობის არაერთ საინტერესო დეტალს ინარჩუნებდა.



2008 წლის ფოტო

აღნიშნული ფლანგის განაშენიანება არ კარგავდა მოედნის მასშტაბს და მისი მართალია სხვადასხვა მაგრამ მორგებული პროპორცია და სილუეტური დინამიკა, მოედნის, როგორც მიკროუბნის სივრცობრივი კვანძის აღქმა სტრუქტურულ ჩამოყალიბებას ეხმიანებოდა და მის ორგანულ ნაწილს ქმნიდა. სწორედ ეს, არქიტექტურისა და სივრცის ერთგვარი ჰარმონიული ტანდემი წარმოადგენდა მოედნის ერთგვარ ინტიმურ და მყუდრო ხასიათსაც, რაც მის მიკროკვარტალის განაშენიანებაში ჯაჭვრურად აწყობილ მცირე მოედანთა სისტემაში აერთიანდებდა.

საპროექტო შენობები

პურის მოედანი №1-ში განთავსებული ნაგებობა, XIX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნებოდა, რომელმაც ავთენტურად, მხოლოდ მცირედი გადაკეთებით მიაღწია დანგრევამდე. შენობის დეტალური სტილისტური ანალიზი მოცემულია ზემოხსენებულ კვლევაში, შესაბამისად ჩვენ მხოლოდ რამოდენიმე მნიშვნელოვან ასპექტზე გავამახვილებთ ყურადღებას:



2007 წლის ფოტო



2007 წლის ფოტო

- ✓ შენობათა სტრუქტურული მრავალფეროვნება:

  როგორც უკვე აღვნიშნეთ, შენობა სტრუქტურულად და სტილისტურად ორი დამოუკიდებელი ნაწილისგან შედგებოდა. მარცხენა ნაწილი (მეტად გადაკეთებული მხარე) ორსართულიანი ატიკით და ლითონის აივნებით დამშვენებული. მისი პროპორცია, საერთო ფლანგთან შედარებით ერთგვარად მოცულობითია. მარჯვენა ფლანგის მხატვრულ-არქიტექტურული სახე სრულიად განსხვავებულია მომიჯნავე ნაწილისგან. მის ძირითად გამომსახველობას ხის რომბებიანი ფორმის შუშაბანდი წარმოადგენდა. მის ქვემოთ სადარბაზოს ლითონის წინფრით დამშვენებული. მის მომიჯნავედ, №1 შენობას შორის არსებული სივრცე ქართული აგურით ნაგები, მეორე სართულზე სამი თაროვანი ფანჯრით აქცენტირებული.

საფუძვლიანად (საძირკვლიანად) თავიდან აგებულია თანამედროვე რკინა-ბეტონის მასალით, რომელშიც სანთლითაც კი არ იძებნება სიძველის კვალი. საპროექტო შენობები სტრუქტურულად და შიდა გეგმარების მიხედვით გაერთიანებულია. შეცვლილია მათი მასშტაბი, სამშნებელო მასალა. შეჭმულია შენობათა სტრუქტურული ელემენტი ეზო. ერთადერთი რითაც ჩამოჰგავს ძველ ნაგებობებს საფასადო კომპოზიციებია, თუმცა აქაც ის ძირითადი მცირე დეტალები რაც მათ მხატვრულ სრულყოფილებას განაპირობებდა ახლით არის ჩანაცვლებული მაგალითად ხის აივანი, შუშაბანდი, ლითონის წინფრა (ძველი განადგურდა). აღნიშნული მნიშვნელოვანი ცვლილებების ფონზე, ეჭქვეშ დგება შენობათა სტატუსიც, რადგან ახალ შენობებს რეალურად არაფერი საერთო აქვთ ძველთან გარდა ადგილისა და ფასადის მოპირკეთებისა. თუმცა აღნიშნული საკითხზე მსჯელობა წინამდებარე კვლევის ფარგლებს სცდება.















წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, ახალ შენობაზე კერძოდ კი №1-ში ტერასის გაჩენა და №2-ზე, შუა ფლანგში ატრიუმის განთავსებაა გათვალისწინებული. ვფიქრობთ, რომ ასეთი ტიპის მცირე ცვლილებები დიდ დისონანს ვერ შეიტანს ამჟამინდელ სურათში, შესაბამისად

ახალი შენობის ახალი სიცოცხლე მის ფუნქციურ ადაპტაციას ითვალისწინებს და მასში სასტუმროს განთავსება იგეგმება, რაც საპროექტო ტერიტორიის მნიშვნელოვანებითა და უბნის მდიდარი ისტორიულ-მხატვრული მეხსიერებით არის განპირობებული. ფიუნქციურად აქტიური ობიექტი ხელს შეუწყობს მიკროკვარტალის სოციალურ გააქტიურებასა. ამავდროულადმნიშვნელოვანია თავად მოედნის ისტორიული მეხსიერების შენარჩუნება და მისი ავტენტური მხატვრულ-არქიტექტურული ფორმის დაცვა.

ხელოვნებათმცოდნე: თ. ღვინერია

მარინე ხატიაშვილი, დავით ხოშტარია

კურის მოედნის №1 და №2 სახლებისა და მიმდებარე ტერიტორიის არქიტექტურული, ისტორიულ-ბიბლიოგრაფიული და მხატვრულ-სტილისტური კვლევა



2008

სარჩევი

1. საკვლევი ტერიტორიის განსაზღვრა 3

2. ზემო კალას უბნის მოკლე ურბანულ-ისტორიული მიმოხილვა 4

3. პურის მოედნის ურბანულ-ისტორიული მიმოხილვა 10

4. პურის მოედნის №1 და №2 შენობები 21

5. რეკომენდაციები 31

6. ბიბლიოგრაფია 32



I. საკვლევი ტერიტორიის განსაზღვრა

საკვლევი ტერიტორია მდებარეობს ძველი თბილისის რაიონში, ისტორიულ ქვემო კალას უბანში. ის მოიცავს ორ – №1 და №2 – შენობას პურის მოედანზე. შენობებს მთლიანად უკავიათ მოედნის დასავლეთ მხარე. მათ უკან (დასავლეთით), კვარტლის სიღრმეში განლაგებულია სხვა სახლები, სამხრეთით გადის ლადო ასათიანის ქუჩა, ხოლო ჩრდილოეთით პატარა უსახელო ჩიხია.



ქვემო კალა (წინა პლანზე მარცხნივ – მოღნინის ეკლესია).
XIX საუკუნის ბოლო

2. ზემო კალას უბნის მოკლე ურბანულ-ისტორიული მიმოხილვა

საკვლევი შენობები და მათი მიმდებარე ტერიტორია თბილისის უძველესი უბნის – კალას ნაწილია. კალა უკვე ქალაქის დაარსების დროიდან იყო გაშენებული. ის წარმოადგენდა შუა საუკუნეების თბილისის მთავარ უბანს და მოიცავდა ტერიტორიას მდ. მტკვარს, ნარიყალასა და ახლანდელ დადიანის, პუშკინისა და ბარათაშვილის ქუჩებს შორის.

კალას ქვემო და ზემო უბნად ჰყოფდა მისი მთავარი არტერია – შუა ბაზარი (გვიანდელი სომხის ბაზარი, დაახლოებით ემთხვევა ახლანდელ ლესელიძის ქუჩას). ამ ხაზის ჩრდილოეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ზემო უბანი იყო, სამხრეთით და სამხრეთ-დასავლეთით – ქვემო უბანი („ზემო" და „ქვემო" მტკვრის დინების მიხედვით შეერქვა). ზემო კალა უპირატესად ქართული არისტოკრატიის უბნად იქცა XVII საუკუნის შუახანებიდან, როცა როსტომ მეფემ სამეფო რეზიდენცია ციხის ტერიტორიიდან აქ გადმოიტანა და სასახლე აიშენა. აქვე იყო ბატონიშვილებისა და თავადაზნაურთა სახლები, კათალიკოსის

რეზიდენცია და ქართული ეკლესიების უმეტესობა (სიონი, ანჩისხატი, კარის წმ. გიორგი, წმ. იოანე ნათლისმცემელი, კვირაცხოველი და სხვა). ქვემო კალაში გვიან შუა საუკუნეებში ძირითადად სომხები ბინადრობდნენ და მათი ეკლესიების დიდი ნაწილიც აქ იყო (ციხის დიდი საყდარი, ნორაშენი, ფეთხაინი, სურბ-სტეფანოზი, სააკაშენი, მოღნინი, წმ. კოზმა და დამიანე, ჯიგრაშენი და სხვა). თუმცა მთლიანად ქვემო კალას მოსახლეობა კონფესიურად ჭრელი იყო. ცალკეულ ქუჩებზე სახლობდნენ მართლმადიდებელი ქართველები და ბერძნებიც, კათოლიკეებიც, ებრაელებიც და მუსლიმებიც (სპარსელები და აზერბაიჯანელები). რაღაც დრომდე არსებობდა ზოროასტრელთა თემიც, რომელსაც თავისი სალოცავი – ათეშგა ჰქონდა კლდისუბანში.

ორსავე უბანს თავისი ცენტრი ჰქონდა. ზემო კალას ცენტრი იყო ბატონის მოედანი მეფის სასახლის წინ, ქვემო კალასი – მტკვრის ნაპირთან ახლოს მდებარე დიდი მოედანი, რომელიც დაახლოებით ემთხვეოდა ახლანდელ ვახტანგ გორგასლის მოედანს. XVII საუკუნეში ის არა მხოლოდ კომერციული საქმიანობის ცენტრი იყო, არამედ ჯარის საწვრთნელი მოედანიც (პლაცი). ფრანგი მოგზაური ჟან შარდენი, რომელიც თბილისში 1672 წელს ჩამოვიდა, მას La Place d'armes უწოდებს[1]. XVIII საუკუნეში ის მოიხსენიებოდა როგორც ციხის ან ქვემო მოედანი, ხოლო შემდეგ დაუმკვიდრდა სახელწოდება „თათრის მოედანი" (მის ირგვლივ მოსახლე სპარსელებისა და აზერბაიჯანელების გამო) და XIX საუკუნეში უკვე ან ასე უწოდებდნენ, ან უბრალოდ „მეიდანს".

კალას ორივე უბანი, თავის მხრივ, იყოფოდა მრავალ მიკროუბნად, რომელთაც სახელები იქ მდებარე ეკლესიების, სხვა მნიშვნელოვანი შენობების ან მოსახლეთა მიხედვით მიიღეს. ქვემო კალაში იყო

---

[1] *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსაველეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975, გვ. 319. ჟან შარდენის ნახატზე კალაში მხოლოდ ეს ორი მოედანია ნაჩვენები: la Place du Prince („ბატონიშვილის მოედანი") ზემო კალაში, მეფის სასახლის გვერდით და la Place d'armes („საწვრთნელი მოედანი") ქვემო კალაში, გეიანდელი მეიდნის ადგილას. სხვა მოედნები ქვემო კალაში არ არის. ასეთივე სურათია ეახუშტი ბატონიშვილის 1735 წლის გეგმაზეც. ახლანდელი იერუსალიმის, პურისა და გუდიაშვილის მოედნების ადგილას აქ მთლიანი განაშენიანებაა აღნიშნული. ანალოგიური მდგომარეობაა 1802 წლის გეგმის მიხედვითაც.

ფირყულაანთუბანი, ცოცხალაანთუბანი (ორივე ახლანდელი დადიანის ქუჩის აღმოსავლეთით), ფრანგების უბანი (კათოლიკური ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია, ახლანდელი აბესაძის ქუჩა), ჯიგრაშნისუბანი (ახლანდელი ლესელიძისა და აბესაძის ქუჩების კუთხესთან, სადაც იდგა ჯიგრაშნის ეკლესია), კოზმნისუბანი (ახლანდელი ასათიანისა და ახოსპირელის ქუჩების კუთხესთან, სადაც იდგა წმ. კოზმასა და დამიანეს ეკლესია), ყორღანაანთუბანი, ფითუანთუბანი, მანდენაანთუბანი (მოიცავდნენ ახლანდელი ლადო ასათიანის ქუჩის სამხრეთით მიმდებარე კვარტლებს), მოღნინისუბანი (მოღნინის ეკლესიასთან. ის მოიცავდა ახლანდელი პურის მოედნის დასავლეთ მხარესაც, ანუ საკვლევ შენობებს), კლდისუბანი (მაღლა მთის ფერდზე, ბეთლემის ეკლესიის გარშემო და უფრო აღმოსავლეთითაც), ნორაშნისუბანი (ნორაშნის ეკლესიასთან), ჩალუანთუბანი (იქვე ახლოს), ციხისუბანი (ნარიყალას ქვემოთ, ახლანდელ სამღებროს ქუჩამდე) და სხვა.



ქალას საერთო ხედი. შუაში წინა პლანზე – პურის მოედანი.
1930-იანი წლები.

გვიან შუა საკუნეებში ქვემო კალას მოსახლეობა ძირითადად ხელოსნობით და წვრილი ვაჭრობით იყო დაკავებული. ბევრ მოსახლეს ჰქონდა ბაღები[2]. მათგან ყველაზე დიდი – ბეჟანას ბაღი ვახუშტის გეგმაზეც არის დატანილი.

საკულტო ნაგებობების გარდა, ქვემო კალაში საზოგადოებრივი დანიშნულების შენობები თითქმის არ ყოფილა. განაშენიანების უდიდეს ნაწილს საცხოვრებელი სახლები შეადგენდნენ. აღა-მაჰმად-ხანის 1795 წლის შემოსევის დროს ისინი მთლიანად განადგურდა და უბანი ხელახლა გაშენდა XIX საუკუნეში. ამჟამად ქვემო კალაში მდგარი შენობების დიდი უმეტესობა XIX საუკუნის II ნახევარსა და XX საუკუნის დასაწყისს განეკუთვნება, მაგრამ რამდენადაც საცხოვრებლების აღდგენა ძველ ნაფუძარზე სდებოდა, დიდწილად შენარჩუნებული იქნა ვიწრო უსწორმასწორო ქუჩების შუასაუკუნეობრივი ქსელი. განაშენიანება ძალიან ინტენსიური იყო, მიწის ნაკვეთები – მცირე ზომისა და ირეგულარული კონფიგურაციისა.

XIX საუკუნეში კალამ შეინარჩუნა აღმოსავლური ქალაქისათვის დამახასიათებელი ყოფა და არქიტექტურული სახე. არაერთი ავტორი აღწერს მას, როგორც „აზიურ“ უბანს. ამერიკელი მოგზაური უ. ს. ნელსონი 1888 წელს წერდა: „დატოვებს თუ არა მოგზაური ფართო ბულვარს მშვენიერი მაღაზიებით, ორიოდე წუთში ის აღმოჩნდება ვიწრო ქუჩების ლაბირინთში. მათ ორივე მხრიდან გაუყვება პატარა მაღაზიები, როგორებიც აღმოსავლურ ქალაქებში გვხვდება. ეს ვიწრო ქუჩები გადაესებულია სხვადასხვა ეროვნების ფეხით მოსიარულეებით და ყველა ჯურის საპალნე ცხოველებით. ეტლები ძლივს მოძრაობს, მაშინ როცა აუჩქარებლად მოძრავი აქლემები და სახედრები თავიანთი უცნაური საპალნეებით ჩვეულებრივი სატრანსპორტო საშუალებებია. თვით დუქნებიც ისეა გადაჭედილი, რომ ცარიელი ადგილი აღარ რჩება. დგას გამაყრუებელი გნიასი. ზოგ მაღაზიაში გაიგონებთ სპილენძის დიდი ფურცლების ჭედვის უწყვეტ გრუხუნს. ასე ხელით კეთდება ბევრი ნივთი. სხვა მაღაზიებში ნაირგვარ იარაღს ამზადებენ. არანაკლებ შემაწუხებელია მოვაჭრეთა ხმამაღალი ტონი, რომლითაც ისინი მერყევი კლიენტების დარწმუნებას ცდილობენ“.[3]

---

[2] მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბილისი, 1965, გვ. 27.

[3] W. S. Nelson, On the Borders of Czardom, *New England Magazine, Vol. VI, No. 6*, October, 1888, გვ. 546-547.

XIX საუკუნეში ქვემო კალა ხელოსნებისა და წვრილი ვაჭრების საცხოვრებელი რაიონია. ბევრ სახლს პირველ სართულზე ჰქონდა სახელოსნო ან დუქანი. ერთადერთი შედარებით მსხვილი საწარმო იყო ენფიაჯიანცის თამბაქოს ქარხანა აბას-აბადის (ახლანდელი გუდიაშვილის) მოედანზე. ეთნიკური თვალსაზრისით ქვემო კალა კვლავ უპირატესად სომხურ უბნად დარჩა. აქ იყო თბილისელ სომეხთა რამდენიმე კულტურული და საგანმანათლებლო დაწესებულება: ქალთა სომხური სამრევლო სკოლა „მარიამიანი" ნორაშენის ეკლესიის ეზოში, ჟურნალ „არძაგანკის" რედაქცია ველიამინოვის (ახლანდელი დადიანის) ქუჩისა და სომხის ბაზრის (ახლანდელი ლესელიძის ქუჩის) კუთხეში. კათოლიკურ ეკლესიასთან (ახლანდელ აბესაძის ქუჩაზე) ფუნქციონირებდა კათოლიკური სამრევლო სკოლა[4]. სასტუმროები ქვემო კალაში არ ყოფილა, მაგრამ ბევრ დუქანს ჰქონდა იაფფასიანი გასაქირავებელი ოთახები. ამ ტიპის შედარებით რესპექტაბელური დაწესებულება იყო არშაკ ტულაევის Купеческие номера მისივე საკუთარ სახლში (ახლანდელი დადიანის ქ. № 12).

საბჭოთა პერიოდის მასშტაბური მშენებლობები ქვემო კალას ნაკლებად შეეხო. აქ განხორციელებული ყველაზე მნიშვნელოვანი ურბანული პროექტები იყო ლესელიძის ქუჩის მოწყობა სომხის ბაზრის ადგილას 1925 წელს და მეიდნის რეკონსტრუქცია მეტეხის ახალი ხიდის მშენებლობასთან დაკავშირებით 1950-იან წლებში[5]. საბჭოთა დროის საცხოერებელი სახლები ქვემო კალაში ძალიან ცოტაა.

პოსტსაბჭოთა პერიოდში ქვემო კალაში გაჩნდა სახლები, რომლებიც ისტორიულ უბნებში მიღებული სამშენებლო ნორმების სრული დარღვევით აიგო და მკვეთრი დისონანსი შეიტანა ძველ განაშენიანებაში. ყველაზე დამახასიათებელი მაგალითია უსახური, მასშტაბურად შეუსაბამო საცხოვრებელი სახლები ასათიანის ქუჩისა და ბეთლემის შესახვევის (ცნობილი კიბე-ქუჩის) კუთხეში.

1990-იანი წლებიდან აღინიშნება ისტორიული შენობათა მდგომარეობის მკვეთრი გაუარესება. ეს პროცესი გამოიწვია წლების

---

[4] *Тифлис и его окрестности*, Тифлис, 1890, გვ. 47.

[5] Т. Квирквелия, *Архитектура Тбилиси*, Тбилиси, 1982, გვ. 142-143.

მანძილზე შენობებისა და კომუნიკაციების შეუკეთებლობამ და მოუვლელობამ, განსაკუთრებით კი დააჩქარა 2002 წლის მიწისძვრამ, რომლის შემდეგაც ათეულობით სახლი ავარიული გახდა. იყო სახლების ჩანგრევის შემთხვევებიც (მაგალითად, 2008 წლის გაზაფხულზე აბესაძის ქუჩაზე).



3. პურის მოედნის ურბანულ-ისტორიული მიმოხილვა

საკვლევ შენობებს განსაკუთრული ურბანული ღირებულება აქვს პურის მოედნის კონტექსტში, ვინაიდან ეს ძველი თბილისის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოედანია. ის ერთი რგოლია ოთხი მოედნის ჯაჭვში, რომელსაც ქვემოდან იწყებს გორგასლის მოედანი ("მეიდანი") და აბოლოებს გუდიაშვილის მოედანი. მათი არსებობა დიდწილად განსაზღვრავს ქვემო კალას ურბანული სტრუქტურის ხასიათს.



თბილისის 1802 წლის გეგმა. ნომრებით აღნიშნულია ის ადგილები, სადაც მოგეიანებით მოედნები ჩამოყალიბდა: 1 – პურისა, 2 – იერუსალიმისა.

უძველესი ამ ოთხთაგან, როგორც ითქვა, მეიდანია. ის უკვე შუა საუკუნეებში არსებობდა. სხვა სამივე მოედანი XIX საუკუნის I ნახევარშია ჩამოყალიბებული. ახლადდამკვიდრებულმა რუსულმა ხელისუფლებამ ქალაქის ისტორიული უბნების „მოწესრიგების"

პროცესში ერთ-ერთ მიზნად ახალი მოედნების მოწყობა განიზრახა. უკვე 1820-იან წლებში ჩამოყალიბდა აბას-აბადის (ახლანდელი გუდიაშვილის) მოედანი[6], ცოტა ხანში ასევე პურისა (თავიდანვე ასე ერქვა) და გეორგიევსკისა[7] (ახლანდელი იერუსალიმის).



თბილისის 1831 წლის გეგმა. 1 – აბას-აბადის (გუდიაშვილის) მოედანი, 2 – პურის მოედანი, 3 – გეორგიევსკის (იერუსალიმის) მოედანი

XIX საუკუნისა და XX საუკუნის დასაწყისის თბილისის გეგმებზე დაკვირვება გვიჩვენებს, რომ პურის მოედნის ფორმირება ერთბაშად არ დასრულებულა. ყველაზე ადრე, უკვე 1850-იანი წლებისთვის, ჩამოყალიბდა მისი დასავლეთი ხაზი, ანუ განაშენიანება საკვლევ ტერიტორიაზე. დაახლოებით ამავე ხანებში ჩამოყალიბდა პურის მოედნის

[6] „აბას-აბადის“ სახელი მას ეწოდა რუსეთ-ირანის ომის დროს რუსების მიერ აბას-აბადის ციხის აღების აღსანიშნავად. სახელწოდება მიენიჭა 1828 წელს სამხედრო გუბერნატორ სიპიაგინის ბრძანებით (იხ.: ე. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, ტ. I, თბილისი, 1960, გვ. 131).

[7] სახელწოდება მიიღო ჩრდილო კავკასიაში მდებარე დაბა გეორგიევსკის მიხედვით (იხ. *თბილისი. ენციკლოპედია*, თბილისი, 2002, გვ. 214)..

ჩრდილოეთი ფარგლებიც. სამხრეთითა და აღმოსავლეთით მისი კონფიგურაცია დროთა განმავლობაში იცვლებოდა. 1831 წლის გეგმაზე მოედანი ამ ორ მხარეს ბევრად უფრო ერცელია, ვიდრე დღეს არის, ამასთან მის აღმოსავლეთით მდგარი შენობა (დაახლოებით ახლანდელი №5-ის ადგილას, ოღონდ უფრო სიღრმეში) გეგმაში არასწორი ხუთწახნაგა ფორმისაა და, შესაბამისად, მოედანსაც ირეგულარული მოხაზულობა აქვს. სამხრეთით მოედანი ასათიანის ქუჩის ხაზს სცდება და დღევანდელი №2 სახლის ფართობსაც მოიცავს.



თბილისის 1859 წლის გეგმა. 1 – აბას-აბადის (გუდიაშვილის) მოედანი, 2 – პურის მოედანი, 3 – გეორგიევსკის (იერუსალიმის) მოედანი

1859 წლის გეგმაზე ეს ადგილი უკვე განაშენიანებას უკავია და მოედანი სამხრეთიდან ბებუთოვის (ახლანდელი ასათიანის) ქუჩით იფარგლება. მოედნის აღმოსავლეთ მხარის ფორმირება ამის შემდეგაც გრძელდებოდა. როგორც 1867 წლის გეგმა მოწმობს, 1859-1867 წლებს შორის აქ ახალი შენობა აუგიათ, ძველისგან განსხვავებული გეგმისა. XIX საუკუნის ბოლოს ისიც აიღეს და ააშენეს ამჟამად მდგარი №5

სახლი, რის შედეგადაც მოედნის აღმოსაელეთ მხარემ დღევანდელი სახე მიიღო. ამავე ხანებში აიგო იერუსალიმის ქ. №1 სახლი, რითაც დასრულდა მოედნის სამხრეთ-აღმოსავლეთ კუთხის ფორმირება. 1903 წლის გეგმაზე პურის მოედნის გეგმა უკვე ემთხვევა დღევანდელს, მას შემდეგ ურბანული სურათი არსებითად აღარ შეცვლილა[8].



თბილისის 1867 წლის გეგმა. I – აბას-აბადის (გუდიაშვილის) მოედანი, II – პურის მოედანი, III – გეორგიევსკის (იერუსალიმის) მოედანი

[8] განვითარების კიდევ უფრო რთული გზა გაიარა იერუსალიმის მოედანმა. 1831 წლის გეგმაზე ჩანს, რომ იმხანად ის უფრო ქვემოთ იყო და დაახლოებით ახლანდელი მოედნის №5 და №6 სახლების ტერიტორია ეკავა. მომდევნო ათწლეულებში მან ნაწილობრივ ზემოთ გადაინაცვლა და ახლანდელი მოედნის ტერიტორიის ნაწილიც მოიცვა (აქ ადრე მდებარე შენობები აიღეს). ამ ვითარებას ასახავს 1859 წლის გეგმა, რომელზეც იერუსალიმის მოედანი ფართობით შესამჩნევად გაზრდილია. შემდგომ ურბანულ განვითარებას გვიჩვენებს 1867 წლის გეგმა. ის მოწმობს, რომ 1860-იანი წლების I ნახევარში იერუსალიმის მოედნის სამხრეთ ნაწილში დიდი შენობა ჩაუდგამთ, რის შემდეგაც მოედნის ფართობი განახევრდა. XIX საუკუნის ბოლოს ეს შენობა აიღეს და უფრო პატარა სახლი ააგეს (ახლანდელი №4). 1903 წლის გეგმაზე მოედანს უკვე დღევანდელი სახე აქვს.



თბილისის 1903 წლის გეგმა.

ქვემო კალას მოედნებს XIX საუკუნეში გარკვეული სავაჭრო-ეკონომიკური პროფილი გამოარჩევდა. 1861 წლის შემდეგ აბას-აბადის (გუდიაშვილის) მოედანი ერთადერთი ადგილი იყო ქალაქში, სადაც ნებადართული იყო მარილით ვაჭრობა[9]. პურის მოედანი თავიდანვე წარმოადგენდა პურით და პურპროდუქტებით ვაჭრობის ცენტრს (აქედან მიიღო სახელწოდებაც). აქვე მდებარეობდა ფურნეები და ფქვილის საწყობები. მოედნის აღმოსავლეთ მხარეს (ახლანდელი №5-ს ადგილას) მდგარი დიდი სახლის სარდაფის ნაწილი 1860-იან წლებში დენთის საწყობს ეკავა.

დიდი იყო ქვემო კალას მოედნების სატრანსპორტო მნიშვნელობაც. მათზე გადიოდა ყველაზე ოპტიმალური გზა, რომელიც ახალ ცენტრს (ერივანსკის მოედანსა და გოლოვინის პროსპექტს) ხარფუხთან,

[9] Ю. Анчабадзе, Н. Волкова, *Старый Тбилиси. Город и горожане в XIX веке*, Москва, 1990, გვ. 84.

ორთაჭალასთან და ავლაბართან აკავშირებდა. ა. ქიშმიშევი მოგვითხრობს, რომ ორთაჭალაში ახალი ქუჩის (მას ეორონცოვის სახელი ეწოდა, ახლა გორგასლის ქუჩა) გაყვანისას მეფისნაცვალი მიხეილ ეორონცოვი ყოველდღე პირადად ადევნებდა თვალს მშენებლობას. მისი მარშრუტი სასახლიდან ორთაჭალამდე გადიოდა პურის მოედანზეც, სადაც მეფისნაცვალს ჩვეულად ჰქონია შეჩერება[10].



პურის მოედანი. 1930-იანი წლები.

საბჭოთა და პოსტსაბჭოთა პერიოდებში პურის მოედნის არქიტექტურულ სახეს, როგორც ითქვა, რაიმე ცვლილება არ განუცდია. ფუნქციური თვალსაზრისით აღინიშნება მოედნის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გამოცოცხლება. №5 სახლის პირველ სართულზე ბოლოხანს მოეწყო ტაოპრივატბანკის ოფისი. მოედნის მიმდებარე ტერიტორიაზე დაიწყო ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებაც (შორიახლოს, იერუსალიმის მოედნის კუთხეში, ჯვარის მამის ეკლესიის უკან, მოეწყო სასტუმრო „შარდენი“). ხელსაყრელი მდებარეობისა და მიმზიდველი ისტორიული გარემოს წყალობით მოედანს ტურიზმისათვის დიდი პოტენციალი აქვს,

[10] А. Кишмишев, *Тифлис. Личные Воспоминания*, Тифлис, 1909, გვ. 21-22.

თუმცა სერიოზული ხელშემშლელი ფაქტორია ტრანსპორტის (მათ შორის სამარშრუტო ტაქსების) ნაკადი, რომელიც ლესელიძის ქუჩიდან და იერუსალიმის მოედნიდან სოლოლაკში მოსახვედრად ამ მოედანს კვეთს.



პურის მოედანი. 2008 წელი

საკვლევი შენობების გარშემო – პურის მოედანზე, ასათიანისა და აბო თბილელის ქუჩებზე რამდენიმე მხატვრულად და ისტორიულად ღირებული შენობაა, რომელთაც არქიტექტურული ძეგლის სტატუსი აქვთ მინიჭებული.

საკვლევი შენობების პირდაპირ დგას XIX საუკუნის ბოლოს აგებული წითელი აგურის დიდი სამსართულიანი სახლი (იერუსალიმის ქ. №3, იგივე პურის მოედნის №5), რომელსაც მოედნის მთელი აღმოსავლეთ მხარე უკავია. მისი მთავარი (მოედანზე გამომავალი) ფასადი სიმეტრიულია, ცენტრს აქცენტირებს მაღალი პარაპეტით დაბოლოებული რიზალიტი. შენობა ტრადიციულ თბილისურ სახლებს შორის თავისი

იმპოზანტური იერით გამოირჩევა და დიდ როლს ასრულებს პურის მოედნის არქიტექტურული სახის ფორმირებაში. სამწუხაროდ, სახლი დამახინჯდა ბოლოდროინდელი რემონტის დროს, როცა ფასადი პირველი სართულის არეში მთლიანად შელესეს და შეათეთრეს.



პურის მოედანი №5 / იერუსალიმის ქ. №3

ასათიანის ქ. №2 (იგივე პურის მოედნის №3) სამხრეთიდან ფარგლავს მოედანს. ეს ორსართულიანი სახლია ნახევარსარდაფით და მაღალი სხვენით, რომელშიც სათავსებია მოწყობილი. ის სავარაუდოდ XIX საუკუნის შუახანებშია აგებული, მაგრამ მომდევნო ხანებში რამდენჯერმე გადაკეთდა და ძლიერ იცვალა სახე. მოედანზე გამომავალი სადა ფასადი ლითონის აივნით XIX საუკუნის მიწურულს განეკუთვნება.

იერუსალიმის ქ. №1 სახლი, რომელიც სამხრეთ-აღმოსავლეთიდან კეტავს პურის მოედანს, რენესანსულ-ბაროკული ეკლექტიზმის ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია ზემო კალაში. ის აშენდა 1880-იან წლებში. სამსართულიანი შენობის ფასადები პილასტრებითა და პროფილირებული

სარტყლებით არის დანაწევრებული. მოედნის მხარეს შენობის კუთხე ჩამოჭრილია და ვიწრო წახნაგზე ლითონის აივნებია მოწყობილი.



იერუსალიმის ქ. №1 (მარცხნივ) და ასათიანის ქ. №2 / პურის მოედნის №3



ასათიანის ქ. №3



აბო თბილელის ქ. №12

ასათიანის ქ. №3 ორსართულიანი სახლი მოედანზე არ გამოდის, მაგრამ მისი ეზო უშუალოდ ემეზობლება საკვლევ შენობებს. ქუჩის

მხარეს ფასადი XIX საუკუნის დასასრულის რიგითი თბილისური სახლებისათვის დამახასიათებელი ელემენტებით არის გაფორმებული. განსაკუთრებით ღირებულია ხის კარგად შემონახული მოხარატებული აივნები ეზოს მხარეს, ორივე სართულის მთელ გაყოლებაზე.

აბო თბილელის ქ. №12 სახლი XIX საუკუნის შუახანებით თარიღდება. მას ქუჩის მხარეს აქვს ხის მოხარატებული აივანი მრგვალი სვეტებით, პროფილირებული კაპიტელებითა და სამყურა თაღებით სვეტებს შორის. ეს აივანი ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, ვინაიდან მისი საერთო კომპოზიცია და ცალკეული დეტალები თითქმის ზუსტად იმეორებს პურის მოედნის №1 სახლის აივნისას. ისინი ერთი ნიმუშით არის შექმნილი, ალბათ ხითხუროთა ერთი არტელის მიერ.



ხედი ნორაშენის ეკლესიაზე პურის მოედნიდან

საკვლევი ტერიტორიის უშუალო სიახლოვეს მდებარეობს სამი მნიშვნელოვანი საეკლესიო ნაგებობა. იერუსალიმისა და ლესელიძის

ქუჩების კუთხეში დგას ჯვარის მამის ეკლესია. საეკლესიო გადმოცემით, მის ადგილას მდგარა ვახტანგ გორგასლის მიერ V საუკუნეში აგებული ტაძარი, რომელსაც გოლგოთა ეწოდებოდა. ამჟამად მდგარი ეკლესია აშენებულია XVI საუკუნეში. ის ეკუთვნოდა იერუსალიმის საპატრიარქოს და იყო იერუსალიმის უფლის საფლავის ეკლესიისა და წმ. ჯვრის ქართული მონასტრის მეტოქი. ეკლესია კუპელ ჰალეს ტიპისაა და აგურით არის ნაგები. ოთხსავე ფასადზე აგურის წყობაში სამ-სამი ჯვარია გამოყვანილი. გუმბათის თორმეტწახნაგა ყელს, რომელშიც ამდენივე ვიწრო და მაღალი სარკმელია, მსუბუქ ნახევარსვეტებზე დაყრდნობილი თაღნარი შემოწერს[11].

ჯვარის მამის გვერდით, ცოტა ჩრდილოეთით, დგას ღმრთისმშობლის სომხური ეკლესია ნორაშენი. ის აშენდა 1650 წლის ახლო ხანებში და საფუძვლიანად განახლდა XVIII საუკუნის ბოლოს. ნორაშენი აგურით ნაგები, „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის ეკლესიაა. მის ფასადებს დეკორაციული თაღნარი ამკობს. სამხრეთი კარის წინ XIX საუკუნის I ნახევარში მიშენდა თლილი ქვით მოპირკეთებული კარიბჭე, რომელიც უხვად არის შემკული ჩუქურთმებით[12]. ამჟამად ეკლესია დაკეტილია.

საკვლევი ტერიტორიიდან 70-იოდე მეტრით დასავლეთით, ახოსპორელის ქუჩაზე არის მოღნისის სახელით ცნობილი ღმრთისმშობლის ეკლესია, აგებული 1751 წელს. „ჩახაზული ჯვრის“ ტიპის აგურით ნაგებ შენობას გამოარჩევს სამი ნახევარწრიულად შეერილი აფსიდი აღმოსავლეთ ფასადზე. ამჟამად ის უკიდურესად მძიმე მდგომარეობაშია და არ გამოიყენება[13].

---

[11] *საქართველოს ისტორიული ქალაქები: თბილისი*, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 129 (ანოტაციის ავტორი – დ. ხოშტარია).

[12] იქვე (ანოტაციის აეტორი – დ. ხოშტარია).

[13] იქვე, გვ. 129-130 (ანოტაციის აეტორი – დ. ხოშტარია).

4. პურის მოედნის №1 და №2 შენობები

პურის მოედნის №1 სახლი დგას მოედნის ჩრდილო-აღმოსავლეთ კუთხეში. მთავარი ფასადით ის მოედანზე გამოდის, გვერდითი ფასადით – პატარა უსახელო ჩიხში. ორსართულიანი შენობა კარგად ეწერება მოედნის განაშენიანებაში და თავისი წვლილი შეაქვს მისი კამერული ატმოსფეროს შექმნაში.



პურის მოედანი №1. საერთო ხედი მოედნიდან

შენობა აგებულია XIX საუკუნის შუახანებში და მას შემდეგ რაიმე მნიშვნელოვანი გადაკეთება არ განუცდია. ის აღნუსხულია როგორც არქიტექტურული ძეგლი.

სახლი ნაგებია ქართული აგურით და შელესილია. მთავარ ფასადზე ყველაზე თვალშისაცემი ელემენტია მეორე სართულის შუა ნაწილში

მოწყობილი ხის აივანი. მისი იატაკი ეფუძნება ხის ოთხ კონსოლს, რომლებიც ირიბი საყრდენებით არის გამაგრებული. კონსოლებითა და დიაგონალური საყრდენებით შექმნილი სამკუთხედები გვერდებიდან შეფიცრულია, ხოლო პირითი მხრიდან წერილი ძელაკებით არის მოპირკეთებული.



პურის მოედანი №1. აივანი

აივნის სახურავი ოთხ მრგვალ სვეტს ეყრდნობა. აივნის შიდა კუთხეებში, კედელთან, დამატებით აღმართულია ორი ნახევარსვეტი.

ქვედა სვეტი ხისაა, გლუვი. ისინი ეფუძნება ნაოთხალი ლიღვის პროფილის ბაზისებს, რომლებიც თავის მხრივ ხისავე კვადრატულ პლინთებზე დევს. სვეტებს აგვირგვინებს რთულად პრიფილირებული რვაწახნაგა კაპიტელები, რომელთა ქვემოთ დამატებით სარტყლებია გაკეთებული (მარცხნიდან მეორე სვეტზე კაპიტელი გამოუღიათ და მის ნაცვლად სახელდახელოდ შეკრული კუბური მოცულობა ჩაუსვამთ).



პურის მოედანი №1. აივნის მოაჯირი

აივნის მოაჯირი ჭვირულად არის მოხარატებული. სვეტების რაოდენობის შესაბამისად, ის ხუთი ცალკე მონაკვეთისაგან შედგება. მოაჯირს პროფილირებული კარნიზი აბოლოებს.

სვეტებზე გადაყვანილია სამყურა თაღები – სამი პირითა მხარეს და თითი გვერდებზე. სიბრტყე თაღებს შორის შეფიცრულია, ხოლო თაღების შიდა ზედაპირი აქაც – ისევე, როგორც კონსოლებზე – წვრილი ძელაკებით არის დამუშავებული. უშუალოდ თაღების თავზე გადის სადა პროფილის ოდნავშვერილი სარტყელი, რომელიც კარნიზის ძირს მონიშნავს. მის ზემოთ მოჩანს სახურავის ნიენიების შვერილი ბოლოები, რომლებზეც დევს კარნიზის ზედა გამოწეული ნაწილი.

აიეანი ურიგოდ არ არის შემონახული. კონსოლები და იატაკი დაზიანებული ჩანს, მაგრამ დეკორაციული ელემენტები კარგ მდგომარეობაშია.



პურის მოედანის №1. ფასადი ჩიხის მხარეს

მთლიანად, პურის მოედის №1 სახლის აივანი გამოირჩევა შესრულების მაღალი ხარისხით და უდავო მხატვრული ღირსებებით. ის მიეკუთვნება თბილისური აივნის შედარებით ნაკლებადგავრცელებულ ნაირსახეობას სამყურა თაღებით, რომელთა უშუალო პარალელი, როგორც ითქვა, აქვე ახლოს, აბო თბილელის ქუჩის №12-ში გვაქვს. სხვა ანალოგიებიდან შეიძლება დასახელდეს არმაზის ქუჩის №27/12[14],

[14] *საქართველოს ისტორიული ქალაქები: თბილისი*, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006, გვ. 113 (ანოტაციის ავტორი – მ. მანია).

ავლევის შესახვევის №3, აღმაშენებლის პროსპექტის №107, ამაღლების ქ. №8 და კოჯრის ქ. №5 სახლები[15]. ყველა ეს შენობა 1850-60-იანი წლებით თარიღდება. მომდევნო ხანებში სამყურათაღებიან აივნებს აღარ აკეთებდნენ.



პურის მოედანი №1. ეზო

[15] ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, ტ. I, თბილისი, 1960, ტაბ. 34, 45-1, 47, 54.

აივანზე გამოდის სამი ღიობი – კარი და მის აქეთ-იქით ორი ფანჯარა. აივნის გარეთ, მთავარი ფასადის კიდეებზე კიდევ ორი ფანჯარაა. პირველ სართულზე სამი ღიობია, რომელთაც რამდენიმე გადაკეთების კვალი ატყვია. მარცხენა ფანჯარა ერთ დროს კარად გადაუკეთებიათ და შემდეგ გამოღებული ნაწილი კვლავ ამოუქოლავთ. შუა ფანჯრის ქვეშ ახლა გისოსებია ჩასმული. ფასადი სრულიად სადაა. ღიობებს მამკობი ელემენტები არ გააჩნია. არქიტექტურული დანაწევრება შემოიფარგლება მარტივი ჰორიზონტალური სარტყლით, რომელიც სართულების მიჯნაზე გადის. ეს სარტყელი გადადის ჩიხში გამავალ გვერდით ფასადზეც. ის სრულიად გლუვია და ყრუ, ღიობები აქ არ არის. ამ ფასადს ებმის ასევე ორსართულიანი, მაგრამ უფრო დაბალი მინაშენი კარითა და ფანჯრით პირველ სართულზე და გეიანდელი შეფიცრული შუშაბანდით მეორეზე.

სახლს აქვს ძალიან პატარა ეზო, რომლისკენაც ის ორსავე სართულზე ხის აივნებით გამოდის. მათ აქვთ მოხარატებული მოაჯირები და მართკუთხა სვეტები, რომელთა ზედა ნაწილებიც კუთხის დეკორაციული ელემენტებით არის გაფორმებული. მეორე სართულზე ამაეალი ხის სამმარშიანი კიბე ძლიერ დაზიანებულია.

პურის მოედნის №2 (იგივე ასათიანის ქ. №1) სახლი ბევრად უფრო დიდია, მოედანზე ის დაახლოებით სამჯერ უფრო გრძელი ფასადით გამოდის. ეს სახლი ორი, არსებითად დამოუკიდებელი ნაწილისაგან შედგება. მარჯვენა (№1 სახლის მომიჯნავე) ნაწილი 1840-50-იან წლებს მიეკუთვნება, მარცხენა ნაწილი ალბათ იმავე ხანებში აშენდა, მაგრამ შემდეგ გადაკეთდა და დღევანდელი სახე XIX საუკუნის ბოლოს მიიღო.

მარცხენა ნაწილი ორსართულიანია, მაღალი ატიკით. ის ასათიანის ქუჩისა და პურის მოედნის კუთხეში დგას და ფასადებით ორსავე მხარეს გამოდის. საშენ მასალად სხვადასხვაგვარი მასალის – ქართული და ე. წ. რუსული აგურის გამოყენება აღდგენა-გადაკეთებებს მოწმობს. ფასადები შელესილია და ღია მწვანედ არის დაფერილი, ხოლო არქიტექტურული ელემენტები თეთრი ფერით გამოიყოფა.

პურის მიედნისა და ასათიანის ქუჩის მხარეს ფასადთა გადაწყვეტა ერთნაირია. სართულთა საზღვარი პროფილირებული სარტყლით არის მონიშნული. ასეთივე სარტყელი გადის ატიკის ძირშიც. პურის მოედნის

მხარეს თითო სართულზე ხუთ-ხუთი ღიობია, ასათიანის ქუჩის მხარეს – შვიდ-შვიდი (მეორე სართულზე სამი მარჯვენა განაპირა ფანჯარა ამოქოლილია). ორსავე მხარეს შუაში არის ლითონის აჟურულმოაჯირიანი აივნები, რომელთაც მოგვიანებით გაკეთებული სახურავები აქვს წვრილ სვეტებზე (სვეტები ლითონის მილებისაგან არის გაკეთებული). ფანჯრებს სამმხრიეი (ქვედა ბორტის გარეშე) საპირეები შემოწერს. ქვედა სართულზე საპირეები პროფილირებულია, ზედაზე სადაა, მაგრამ ზემოდან დამატებული აქვს პროფილირებული სანდრიკები. მეორე სართულის ფანჯრების რაფების დონეზე გადის ნალესობაში გამოყვანილი სარტყელი, რომელიც ფასადებს უწყვეტად, მთელ სიგრძეზე გაუყვება. ატიკის კედელი ზედაპირიდან ჩაწეული კვადრატებითა და მათ შორის ამოყვანილი ბრტყელი პილასტრებით იმკობა.



პურის მოედანი №2. საერთო ხედი მოედნიდან

პურის მოედნის №2 სახლის მარჯვენა ნაწილი ასევე ორსართულიანია, ოღონდ არა აქვს ატიკი. ეს ნაწილიც მრავალჯერ არის გადაკეთებული, მაგრამ პირვანდელი იერი ასე თუ ისე ცხადია. მისი მდგომარეობა უარესია, ვიდრე მარცხენა ნაწილისა. უბრალო

დათვალიერებითაც აშკარად ჩანს დეფორმაცია, რაც სავარაუდოდ საძირკვლის არათანაბარი დაწევის შედეგი უნდა იყოს.



პურის მოედანი №2. მუშარაბიანი შუშაბანდი

პირველ სართულზე, რომელსაც მამკობი ელემენტები არ გააჩნია, სხვადასხვადროინდელი, სხვადასხვა ზომისა და დანიშნულების რამდენიმე ღიობია, მათ შორის თავდაპირველი ჩანს ლითონის აჟურული წინფრით გადახურული სადარბაზო კარი და ეზოს ჭიშკარი. მეორე სართულის დიდი ნაწილი ხის შუშაბანდს უკავია. ამ მონაკვეთის მარჯვენა ნაწილში შემორჩა თავდაპირველი მუშარაბი. ის წარმოადგენს ურთიერთგადამკვეთი დიაგონალური ძელაკების ბადეს, რომლის რომბისებრ უჯრედებშიც ფერადი მინები იყო ჩასმული. დანარჩენ ნაწილში მუშარაბი ხის უბრალო სადა შუშაბანდით არის შეცვლილი.

ფასადის მარჯვენა კიდე (უშუალოდ №1 სახლის გვერდით) ასევე XIX საუკუნის შუახანისაა. ის მთლიანად ქართული აგურითაა ნაგები (ბევრგან ჩანს ბათქაშის ჩამოცვენის გამო), შელესილია და მოყვითალოდ დაფერილი. მის მეორე სართულზე მოწყობილია სამი ფანჯარა: შუა –

დიდი, თაღოვანი, გვერდითები – უფრო მცირე, მართკუთხა, ტიმპანიანი (მარცხენა ამოჭოლილია). ფანჯრებს, რომლებიც ეკლესიის სარკმლებს წააგავს, ზემოდან ერთიანი სამთაღიანი თავსართი ამკობს, შუა შემაღლებული თაღით. თავსართის გადანაკეცები ფასადის კიდეებს წვდება. შენობის ეს ნაწილი განსაკუთრებით ცუდ მდგომარეობაშია. კედელი გამობურცულია და დეფორმირებული.



პურის მოედანი №2. ფასადის მარჯვენა ნაწილი

სახლის შიდა ეზოში ლითონის ალაყაფის კარიდან ვხვდებით. შენობა მცირე ზომის ეზოს ოთხი მხრივ შემოსაზღვრავს და მეორე სართულზე რიკულებიანი აივნებით იხსნება მის სივრცეში (აივნის ნაწილი შემინულია). პირველი სართულის ნაწილი (მარცხენა მონაკვეთი) შუშაბანდს, ნაწილი კი ყრუ კედელს წარმოადგენს, რომელშიც კედლის

კარადებია მოწყობილი. ეზოს მარჯვენა მონაკვეთში გაკეთებული ხის რიკულებიანი კიბე მეორე სართულის აივნისაკენ მიემართება. ეზოში შემორჩენილია მუშარაბის ფრაგმენტი.



პურის მოედანი №2. ეზოს ნაწილი

მიუხედავად გადაკეთებებისა, პურის მოედნის №2-მა სახლმა შეინარჩუნა მხატვრულად ღირებული ელემენტები, რომლებიც XIX საუკუნის შუახანებს განეკუთვნება. მათგან პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მუშარაბიანი შუშაბანდის ნაწილი და ფასადის მარჯვენა სამფანჯრიანი მონაკვეთი თაღოვანი თაგსართით.

მცხოვრებთა ინფორმაციით, ორსავე სახლს აქვს სარდაფები, რომლებიც შეიძლება თვით სახლებზე ძველიც იყოს. მათში ჩაღწევა ამჟამად შეუძლებელია.

5. რეკომენდაციები

- საკვლევ ტერიტორიაზე ყოველგვარი ჩარევისას გათვალისწინებული უნდა იქნას, რომ პურის მოედნის №1 და №2 სახლები წარმოადგენს მხატვრულად და ისტორიულად ღირებულ შენობებს. ისინი აღრიცხულია, როგორც არქიტექტურული ძეგლები;
- თუ კონსტრუქციული პრობლემების გამო გარდაუვალი გახდება ამ შენობების დემონტაჟი, მათ ადგილას აგებული ახალი შენობა არ შეიძლება იყოს სამ სართულზე მეტი. მისი არქიტექტურული გადაწყვეტა და მოცულობა უნდა ითვალისწინებდეს პურის მოედნისა და, ზოგადად, კალას უბნის განაშენიანების ხასიათს;
- საკვლევი ტერიტორია არქეოლოგიურად სენსიტიურია. სამშენებლო სამუშაოებს სასურველია წინ უძღოდეს არქეოლოგიური შეფასება;
- ნებისმიერ შემთხვევაში აუცილებელია ძველი სარდაფების შენარჩუნება.

6. ბიბლიოგრაფია

- ვ. ბერიძე, *თბილისის ხუროთმოძღვრება, 1801-1917 წლები*, თბილისი, ტ. I, 1960, ტ. II, 1962.
- მ. ბერძნიშვილი, *თბილისის გარეგანი სახე XVIII საუკუნეში*, თბილისი, 1965.
- თ. გერსამია, *ძველი თბილისი*, თბილისი, 1984.
- *თბილისი. ენციკლოპედია*, თბილისი, 2002,
- *ჟან შარდენის მოგზაურობა სპარსეთსა და აღმოსავლეთის სხვა ქვეყნებში (ცნობები საქართველოს შესახებ)*, ფრანგულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო მ. მგალობლიშვილმა, თბილისი, 1975.
- *საქართველოს ისტორიული ქალაქები: თბილისი*, მ. ბულიას და მ. ჯანჯალიას რედაქციით, მეორე გამოცემა, თბილისი, 2006.
- W. S. Nelson, On the Borders of Czardom, *New England Magazine, Vol. VI, No. 6*, October, 1888.
- Ю. Анчабадзе, Н. Волкова, *Старый Тбилиси: Город и горожане в XIX веке*, Москва, 1990.
- А. Бахутов, *Путеводитель по городу Тифлису с историко-этнографическим очерком и с планом города*, Тифлис, 1913.
- Г. Бежанишвили, *Улица Леселидзе*, Тбилиси, 1971.
- Т. Квирквелия, *Архитектура Тбилиси*, Тбилиси, 1982.
- А. Кишмишев, *Тифлис. Личные Воспоминания*, Тифлис, 1909.
- *Тифлис и его окрестности*, Тифлис, 1890.